ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 424

"7" ნოემბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, მიცკევიჩისა და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე, 2812 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.054) და ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა, გამყოფ ზოლზე მდებარე 188 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.034) შპს „ი.დ.ლ"-ისთვის (ს/კ 404497399) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ.თბილისში, მიცკევიჩისა და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე, 2812 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.054) და ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა, გამყოფ ზოლზე მდებარე 188 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.034) შპს „ი.დ.ლ"-ისთვის (ს/კ 404497399) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 28 სექტემბრის №36.28.705 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, მიცკევიჩისა და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე, 2812 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.054) და ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა, გამყოფ ზოლზე მდებარე 188 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.030.034) შპს „ი.დ.ლ"-ისთვის (ს/კ 404497399) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემაზე, მიწისქვეშა ავტოსადგომის მოწყობის მიზნით, მიწისზედა მშენებლობის უფლების გარეშე.

2. შეთანხმდეს აღნაგობის წლიური საზღაური - 1000 (ათასი) ლარის ოდენობით (აღნაგობის საერთო ვადის პირველი 7 (შვიდი) წლის მანძილზე).

3. აღნაგობის მოქმედების ვადა განსაზღვრული 49 წლის ვადით.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი